# სახალხო გაზეთი

№ 426 კვირა, 16 ოქტომბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 426

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

სელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible]ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]ети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


დღევანდელ № თან ქალაქის ხელის მომწერლებს ურიგდებათ ქართ. ქალთა სკოლის ფურცლები. (1.878.1)

ადამ ზურაბის ძე ბერელაშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 14 ოქტომბერს გარდაიცვალა დედა მისი

## ეკატერინე ლაზარეს ასული ბერელაშვილისა

მიცვალებულს გამოასვენებენ 16 ოქტომბერს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან (ჩუღურეთში). წირვა დაიწყება 10 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ქნ. ოლღა სარდიონის ასული ხიდირბეგიშვილისა, შვილები ნინო და ივანე, ძმა კონსტანტინე როსტომის ძე ხიდირბეგიშვილი და სიძე სოლომონ ექვთიმეს ძე წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე მეორეთა—მამა, მესამისა—ძმა და მეოთხის სიმამრი

## თავადი გიორგი როსტომის ძე ხიდირბეგიშვილი

დაკრძალვა ს. ხაშურში, კვირას ოქტომბრის 16-ს, დილით. (2—876—2)

## დ. ყვირილაში

„ორიპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 16 ოქტომბერს, 1911 წ. ვასო აბაშიძის მონაწილეობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა.

## მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი ბეჟანიშვილი, ვიქტორელი, კარგარეთელი, ლექავა, პიერეტა; ბ-ნნი აბაშიძე, ალუდიშვილი, არადელი, გუნია, გვარამე, გამყრელიძე, მაჭარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ს.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება ქალის ჭკუა, კლდე, ჯადოსანი, ანტიგონა და სხვა.

(2.877.2) რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი ქართ. დრამ. საზ. ადმინისტ.

კვირას, 16 ოქტომბერს, 1911 წელს, დილის 11 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიათინსკის ქუჩა, № 5) დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა

## საზოგადო კრება.

განსახილველია:

1) მოხსენება საბჭოსი წარსულ და მომავალ მოქმედების შესახებ.
2) ანგარიში საზოგადოების თანხის შესახებ.
3) ამა 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
4 მიმდინარე საქმეები.
5) ახალ წევრების მიღება (8—873—8)

**საბურთალოზე** მშვენიერ ადგილს, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თოქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—152)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ქ. ე —სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

დადვიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ა.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ს. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლოვსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდადოვი ბ. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავება. სამფასურით. (წ.—1089—585)

ტელეფ., N 795. **ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი** ტელეფ., N 795.

სამშაბათს, 18 ოქტომბერს, 1911 წ.

## საოჯახო საღამო

საზამთრო თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ქართულად:

„მაის გაუქარე, ვუის შევეყარე“

კომედია-ფარსი 3 მოქმ. ვ. გუნიასი.

ადგილების ფასი თეატრში 20 კ. 50 კ—მდე. სტუმრებისჯვადისწდიან კლუბში შესასვლელად: კაც 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ., გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან. წარმოდგენის შემდეგ ლ ო ტ ო. ანტრაქტებში და წარმოდგენის შემდეგ დაუკრავს კლუბის ორკესტრი.

ანონსი: ოთხშაბათს და პარასკევს, 19 და 21 ოქტომბერს, იაფი ლოტო. (2.1514.1)

**ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი**

## მხოლოდ ორი წარმოდგენა

სამშაბათს, 18-ს და ოთხშაბათს 19 ოქტომბერს,

რუსის დრამატიულ არტ. დასი, ტფ. სახაზინო თეატრის საოპერო არტისტ. ქ-ნ ე. მ. კოვალევსკისა და ვ. თ. ლიუბჩენკოს და ცნობილ არტ. ფ. გ. რეშიმოვის მონაწილეობით ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილი

## ცოცხალი მკვდარი,

დრამა 6 მოქ. 12 სურათად.

ბოშა-ქალის (მაშას) როლს ე. მ. კოვალევსკისა შეასრულებს. პროტასოვის (ფედია) როლს ფ. გ. რეშიმოვი. პიესას მოსკ. სამხატ. თეატრის მაგვარად დას დგამს. ხელმძღვანელობს ფ. გ. რეშიმოვი. მე 2 სურათში, საზაზ. თეატრის ხორო, საოპერო არტისტების მონაწილეობით ქ-ნი კოვალევსკისა და ბ-ნი ლიუბჩენკო იმღერებენ ბოშათა სიმღერებს, (როგორც მოსკ. სამხატ. თეატრში მღერიან). 1. „აი და კონ ა გელა“, შეასრ. ხორო; 2. „ვ ჩას როკოვოი“, (სოლო), შეასრ. კოვალევსკისა და ხორო; 3. „შელ მე გერსტა“, შეასრ. ხორო; 4. „ნე ვეჩერნია“, შეასრ. კოვალევსკისა და ხორო; 5. „ზდრავსტვუიტე“, შეასრ. ხორო; 6. „პოლნი კუბოკ“, შეასრ. კოვალევსკისა და ხორო; 7. „ნა დრუჟესკოი ბესედუი“, შეასრ. ლიუბჩენკო და ხორო; 8. „ლენ“, შეასრ. კოვალევსკისა და ხორო. რადგანაც პიესა დასადგმელად რთულია, დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი საბენეფისოა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილ 10—2 ს. და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის დასრულებამდე. შეღავათიანი ბილეთები და კონტრამარკები ამ წარმოდგენაზე დასასწრებლად არ გამოდგება. (1.1544.1)

## მოდებისა და სამანუფაქტურო მაღაზია მ. გ. აბაშიძისა

თამამშევების ქარვასლაში, კომერციულ ბანკის პირდაპირ, №№ 27—28.

მიღებულია **დიდ-ძალი** საქონელი **მატყლისა, აბრეშუმისა და ბამბეულისა.**

გვაქვს აგრეთვე მებელის პლუშები და სხვა მატერიები.

## ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.

(10.1511.9)

დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად

## „ფუტკარი და მეფუტკრეობა“

შედგენილი აპოლონ წულაძის მიერ, გამოცემული კავკ. მეფ. საზოგადოებისა. წიგნში ასამდე სურათია, შეიცავს 360 გვერდზე მეტს და ღირს მხოლოდ ოთხ აბაზად. წიგნის ყდიანი დაჯილდოვებულია ოქროს მედლით.

წიგნის დაბარება შეიძლება ქარ. შ. წერ. კით. გამ. საზოგადოების წიგნის მაღაზიიდან და თავ. პლატ. მ ლორთქიფანიძისაგან (ბაქოს ქუჩა, N 6) ნარდად მყიდველ-გამყიდველებს ჩვეულებრივ %-%/o დაეთმობათ. (3—1533—3)

## ქ. გორში ქალთა სახელოსნო სკოლა

ელენე თარხან-მოურავის ხელმძღვანელობით. პირველ სექტემბრიდან ქ. გორში გაიხსნა ქალთა სახელოსნო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ისწავლება ყოველგვარი ხელსაქმე, **ჭრა-კერვა** და **გაშმაკების კერვა**. აქვე მიიღება მოწაფე ერთის წლის კურსით, რომელიც შეისწავლის განსაკუთრებით ჭრა-კერვას. აგრეთვე იქნება საღამოს კურსები მეოჯახე ქალთათვის. მიიღება ყოველგვარი საკერავი ქალთა და ბავშვთა ტანისამოსისა. მოწაფეები მიიღებიან არა ნაკლებ თოთხმეტი წლისა. მიიღება მოწაფედ წერა-კითხვის არ მცოდნეც. მოწაფეებს იყვანენ ბინითაც. პირობების და პროგრამის გაცნობა შეიძლება პირადად და წერილობითაც. ა დ რ ე ს ი: სამეფო ქუჩა, № 33. (10—1493—8)

## Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами

Тифлисъ. Баку. Батумъ.

Adresse Télégraphique SANITAS

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

გირჩევთ შეიძინოთ ჩვენი ამხ. დამზადებული:

„კოსმოლინი“ — კანის სინაზის მიმცემი.

ფიჭვის „წყალი“ — ოთახებში ჰაერის გასაწმენდად.

კბილისათვის ფხვნილი საბავშვო პუდრი.

ბრინჯის პუდრი. ბოროვაზელინი.

(1—1542—1)

## თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ იგი შეუდგა ბ-ნ კიტა აბაშიძის თხზულებათა „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ“ ბეჭდვას. თხზულება გამოიცემა ორ ტომად, იგი შეიცავს კრიტიკულ განხილვას შემდეგ მწერალთა ნაწარმოებისას: ალექ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ვახტ. ორბელიანისა, გიორ. ერისთავისა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას.

ხელის მოწერა მიიღება 15 ნოემბრამდე ქ უ თ ა ი ს შ ი — თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ გაზეთების კანტორა «იმერეთია»-ში და ტფილისში—წერა-კითხ. გამავრ. საზოგ. წიგ. მაღაზიაში ბ-ნ ივანე ავალიშვილთან.

ხელის-მოწერით პირველი ტომის ფასი ო რ ი ა ბ ა ზ ი ა. (15—1539—3)

## ექიმი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

## წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა; ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (106—1524—6)



(25—1456—27)

**ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-მანტურიასი** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—83)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1269—25)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N სახლი ბაბამგილისა. [illegible])

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანოშვილისა.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.24)

## ვაჟთლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. ბობოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ბ. ვ. ხოხოლოვსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## წამლობა „606“-ით.

(წ.—1090—189)

დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კ ი რ ო ჩ ნ ი ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—20)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი მიხეილ ალაჯანოვი** სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა, დ ა ბ რ უ ნ დ ა, და განაახლა ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 ს.-დე. მიხეილის ქ., ტელეფ. 38, (10.840 4)

**ექიმი ვ. ი. მინასიანცი.** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—27)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 [illegible]—15)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—50

**დიდუბის ეკლესიის კრებული სთხოვს მრევლს,** რომ კვირას, 16 ოქტომბერს, დილის 11 საათისათვის

## მობრძანდნენ

დიდუბის საეკლესიო ეზოში ამავე ეკლესიის მნათისა (სტაროსტისა), საზრუნველოს წევრებისა და მრევლის წარმომადგენლების ასარჩევად. (3—875—3)

**წინამძღვარი** ტფილისის წმ. სამების ეკლესიისა მღ. ვას. კარბელაშვილი კრებულითურთ სთხოვს ზემოხსენებულ ეკლესიის მრევლს, კეთილ ინებონ და მობრძანდნენ ეკლესიაში კვირას, 16 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ეკლესიის მნათისა და მის მოადგილის ასარჩევად. (4—863—4)

შინაური წამლობა უფრო იაფად ჯდება და დროსაც ნაკლებს გვართმევს. Professor Dr. Cantani, მსოფლიოდ ცნობილი მკვლევარი შაქრის ავადმყოფობისა, შემდეგ მოვლენას ადასტურებს ფრანც-იოსების თავანკარა მწარე წყალი უზმოზე რომ დალიოთ, არამც თუ ხელს უწყობს უტკივილო გახსნას, არამედ საზოგადოდ აწესრიგებს მონელებას და სავსებით ეწევა კარლსბადის სამკურნალო წყალთა მაგიერობას.

Метцль. 181579. (1—1540—1)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

სტოლიპინის მოკვლის შემდეგ რუსეთის პრესა საფუძვლიანად მოეკიდა დამცველ პოლიციის დანიშნულებაოდვაწეობის განქიქებას. ბევრი რამ საგულისხმო გამოირკვა დღევანდლამდე და, იმედია, კიდევ ბევრი გამომჟღავნდება. რა უწყობს ხელს დამცველ პოლიციის დაბალ მოხელეთ პროვოკაციის საქმეში? ამ კითხვაზე ერთს გაზეთში ვკითხულობთ:

„დამცველ პოლიციის დაბალი მოხელე ზემოდ უფროსებისაგან რომ იცქირება, ჰხედავს, რომ ესა თუ ის გენერალი კურლოვის მარჯვენა ხელი, დ[illegible] ჟანდარმერიის ერთი უდიდ[illegible]თაგანი, მთელის წლობით უმოდვაწინა ა[illegible]ფის თანამსახურობით, მისის დახმარებით რამდენიმე მინისტრი და დიდი მთავარი გამოუსალმებია წუთი-სოფელს; უცქერის ამას და ასეთი დასკვნა გამო-

ჰყავს: ჟანდარმის აფიცერს აზეფისთანა ხალხი უსათუოდ უნდა ჰყავდეს, თუ სამსახურში დაწინაურება ჰსურს. როდესაც ნამდვილი ტერორისტები არსადა სჩანან, საჭიროა მათი შექმნა, მათის დახმარებით შეთქმულების მოწყობა—და ასეთ შექმნილ ხიდის საშუალებით უმაღლეს ადგილის დამსახურება. თანდათან ჭრევვა იგი ასეთ პრაქტიკულ მოღვაწეობას და სასარგებლოდაც მიაჩნია. რწმუნდება, რომ ადვილი საქმეა, ქუჩის მაჩანწალა დამსმენლის სიტყვით, შეიპყრას. კაცს პოლიტიკური არაკეთილსაიმედობა დასწამოს და ჰყავდეს გამომწყვდეული, სანამ ეგუნებება“...

ეს ამონაწერი მით უფრო საგულისხმოა, რომ მისი ავტორი ცნობილი მეშჩერსკია.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო 21, 22 და 23 ოქტომბერს ტფილისში დაჰყოს ალექსანდრეს სახელობის სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფეთა ესკურსიის 26 კაცმა, რომელნიც ტფილისსა და მიდამოების საყურადღებო ადგილებს დაათვალიერებენ.

◆ როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება, საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ზამთრის სესიაში მონაწილეობისთვის სინოდმა მიიწვია.

◆ მთავრობამ ნება დართო სამი ახალი წვრილ სესხის ამხანაგობა გაიხსნას სოფ. ქარელში, ალში და ხაშურში (გორის მაზრა) პირველს ძირითად თანხად 2000 მან. მიეცემა და მოკლე ვადიან სესხად 3000, მეორეს ძირითადი—1000 მან. და მოკლე ვადიანი 2000 მან.; მესამეს—ძირითადი 2000 და მოკლე ვადიანი 5000 მან. წვრილ სესხის ამხანაგობათა გასახსნელად 14 აგვისტოს ინსპექტორი ი. ი. ნავრატილი გაემგზავრა.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ინჟინერი ლორენცი, რომელიც დანიშნულია კახეთის რკინის გზის გასაყვან მეორე ნაწილის უფროსად. ინჟინერი ლორენცი ტეხნიკების შტატთა ადგილის გამთანაბრებელთა თანხლებით კახეთს გაემგზავრა, სადაც საბოლოოდ მოამზადებენ წინასწარ მუშაობას. უკვე გამოირკვა, რომ კახეთის რკინის გზა ჩალაუბანის უღელტეხილზე გაივლის. თელავისაკენ კი სად. გურჯაანიდან ცალკე შტო იქნება გაყვანილი.

◆ ჩრდილოეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება პეტერბურგში 1912 წელს სრულიად რუსეთის მეორე გამოფენას ჰმართავს. გამოფენილი იქნება თესლეულობა; ნერგები და სხვა და სხვა სამეურნეო მანქანები. რადგანაც გამოფენის მომწყობი კომიტეტი დაინტერესებულია, რომ რუსეთის ყველა კუთხიდან და განსაკუთრებით ამიერ კავკასიიდან იქნეს ნიმუშები, ამიტომ ადგილობრივ მთავრობას სთხოვა, ხელი შეუწყონ გამოფენას. ამის გამო საბოტანიკო ბაღის დირექციას მიეწერა, მოამზადეთ ნიმუშები როგორც საბოტანიკო ბაღიდან, ისე განყოფილებებიდანაც.

◆ ეს ერთი კვირაა, რაც ავტომობილით ჩამოიყვანეს სოფელ კავთისხევიდან ტფილისში ნიკოლოზ ცხვედაძე მძიმედ ავადმყოფი, სამი ექიმი სწამლობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი უკეთობა არ დასტყობია.

◆ მიწად-მომწყობ და მიწადმომქმედ მთავარ გამგის რწმუნებულის განკარგულებით ჯავითის მაზრაში იგზავნებიან უფროსი საქმის მწარმოებელი მულინი და უფროსი ტოპოგრაფი მოსეევიჩი, რომელთაც სახაზინო იალაღების გამოკვლევა-გაუმჯობესება აქვთ დავალებული.

◆ მიწადმოქმედების დეპარტამენტმა სამი წიგნაკი დაბეჭდა: „ქოლისა და მოცხარის მავნებელი რჩილი“, „ბაღის მავნებელი პეპელები“ და „ქოლის ნაცარი“. ბროშურები თითო შაურად ღირს და მეტად კარგად არის როგორც დასაბუთებული ისე დასურათებული, სამეურნეო დაწესებულებათ, რომელნიც ხალხს ხეხილის სენთან ბრძოლაში ეხმარებიან, ბროშიურები უფასოდ ეგზავნება.

◆ 13 ოქტომბერს ქუთაისიდან დაბრუნდა სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ა. ი. სლოვინსკი, რომელსაც ქუთაისში რეალურ სასწავლებელში მომხდარ ამბების გამოძიება ჰქონდა მინდობილი.

◆ კულტურისა და მხატვრობის ისტორიის პეტერბურგელი პროფესორი ა. გ. პრახოვი და კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტის წევრი საქმის მწარმოებელი ა. ხ. ფირალოვი გუშინ ქ. ერევანს გაემგზავრნენ, საიდანაც წავლენ ეჩმიაძინში, ადგილობრივ სიძველეთა დასათვალიერებლად.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე საზოგადო კლუბში (ბირჟის დარბაზი), დ. კ. გეპშტეინი წაიკითხავს რეფერატს: „ვ. გ. კოროლენკო, როგორც მხატვარი და ადამიანი“. რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოსავლის“ მე-20 ნომერი. ნომერში მოთავსებულია ვ. რცხილაძისა, ა. რუსიშვილისა, ე. ჩივაძისა, დ. ღ—ძის, ყ. ჩხეიძისა და სხვათა საინტერესო წერილები.

◆ ტფ. ფერისცვალების მონასტრის ხაზინადარი ბერ-მონაზონი დიმიტრი სიღნაღის მაზრის ხირსის წმ. სტეფანეს წინამძღვრად დაინიშნა.

◆ ქალაქის სამეურნეო კომისიამ უკანასკნელ კრებაზე შესაძლოდ სცნო ცხვრის ხორცის ნიხრს 1 კაპ. დაუკლოს. ამ რიგად 13 კაპ. მაგივრად 12 კაპ. ეღირება.

◆ ა. გალუმოვის ქვრივმა მან თაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის ღარიბ მოწაფეთათვის 100 მან. შესწირა.

◆ რადგანაც შვეიცარიიდან საუკეთესო ჯიშის მეწველ საქონლის გამოწერა ადგილობრივ მცხოვრებთ ჩარჩების შემწეობით უხდებათ და ეს ერთი-ორად ძვირი ჯდება, მიწადმოქმედების სამინისტრომ ბერნში საკუთარი აგენტი დანიშნა. მსურველო შეუძლიათ აგენტის საშუალებით პირდაპირ გამოიწერონ საქონელი, რაც გაცილებით იაფი ჯდება. ადრესი: Швейцарія Bernhe, Nicolas gaj, Bumpliz, Darfstrasse 395 d.

◆ გამოვიდა და დაეგზავნა ხელის მომწერლებს ჟურნალ „კოოპერაციის“ № 15-რი შემდეგის შინაარსით: 1) მოწინავე (კოოპერატიულ დაწესებულებათა კავშირი), 2) სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში, ვ. თ. ტოტომიანცისა, 3) საკრედიტო კოოპერაცია რუსეთში და ჩვენში, 4) ღირებულების მეცნიერული თეორიის განვითარება, თ. ღლონტისა, 5) შინაურ საქონლის დამზღვევი კასები, ალ. პაპუჩაშვილისა, და სხვა.

◆ დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის-მომწერთ არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მეოთხე წიგნი.

◆ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში სასანიტარო ექიმის მიერ წარდგენილი ფქვილის და გამომცხვარ პურის ნიმუშები შეამოწმეს რომელიც წაუღიათ ჩურუქოვის ფურნიდან (ხუდადოვის ქუჩა № 4) გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ როგორც ფქვილი ისე პური უვარგისია და ჩურუქოვს ოქმი შეუდგინეს.

◆ აბრეშუმის—პარკისა და ძაფის ფასები. კავკასიის საბრეშუმო სადგურს უცხოეთიდან ატყობინებენ დეპეშით, რომ პარკისა და ძაფის ფასები ამ ჟამად კლებულობს. კავკასიის (ქუთაისის) პარკის ფასი ამ კვირაში დაწეულა 9,25—9,30 ფრანკამდე კილო, ან ფუთი 55 მან. და 50 კ.—55 მან. და 80 კაპეიკამდე. კავკასიელი (ნუხელი) ძაფი დაწეულა—34 ფრანკამდე კილო ან—204 მან. ფუთ. წარსულ კვირაში პარკის ფასი იყო 55 მან. 80 კაპ.—56 მან. 40 კაპიკამდე ფუთი ძაფი.—210 მან. ფუთ. იოკჰამამი (იაპონია). გაუყიდავი დარჩა 52,500 ფუთამდე ძაფი.

◆ სამშაბათს—18-ს ოთხშაბათს 19 ოქტომბერს რუსულ დრამატიულ მსახიობთა დასის მიერ, ქ. კოვალევსკისა და ლიუბჩენკოს მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება ლ. ტოლსტოის ახალი პიესა „ცოცხალი მკვდარი“. მეორე მოქმედებაში ქ. კოვალევსკისა და ნ. ლიუბჩენკო ბოშების სიმღერებს იმღერებენ. მონაწილეობას იღებს აგრეთვე სახაზინო თეატრის ხორო. პიესა მოსკოვის სამხატვრო თეატრის დაგვარად იდგმება. რეჟისორობს მსახიობი რეშიმოვი.

## საზოგადოებანი და კრებანი.

◆ ქალაქის საბჭოს კრება ორშაბათს, 17 ოქტომბერს მოხდება. განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) გამგეობის მოხსენება ხილეულობის გამოფენის საუკეთესო ნიმუშებისათვის ქალაქის მხრივ ჯილდოს დანიშვნისა. 2) ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების საბჭოში მონაწილეობისათვის ქალაქის წარმომადგენლის არჩევნები და სხვა.

◆ დღეს, დილის 11 საათზე, კავკ. საიმპ. სას.-სამეურ. საზოგადოების დარბაზში, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნული.

## სასამართლო

◆ ლიტერატურული საქმე. ხვალ, 17 ოქტომბერს, ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორად ნამყოფ რ. ბებიაშვილისა, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საქმის მწარმოებელი ი. პილეცკი უჩივის, გაზეთით ცილი დამწამაო.

## ქუთაისი

◆ წრეულს სამეურნეო სასწავლებელში პირველად სცადეს ხელოვნურად ჩირის გაკეთება, როგორც ამბობენ ხილი მშვენივრათ დამჭკნარა და იმდენად კარგის თვისებისაა, რომ პეტერბურგის მეხილეობის გამოფენაზე გაუგზავნიათ. ამის გარდა, სკოლას ზამთრისათვის შეუნახავს ბოსტნეულობა.

ამ სამეურნეო სასწავლებელში ისეთი ადგილი არ არის, რომ ვაზის სანერგე გაიმართოს. ამ ნაკლის შესავსებად სასწავლებლის მზრუნველს თ-დ პეტრე წულუკიძეს თავის მამულში (ქუთაისის მახლობლად) მიუცია სკოლისათვის, ორი ქცევა მიწა, სადაც 70 ათასზე მეტი დამყნილი ვაზი დაურგავთ.

◆ გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში დაატუსაღეს ბ-ნი იასონ გელოვანი.

◆ სათავად-მამულო ბანკის გამგეობაში ლაპარაკი ადრეულა იმის თაობაზე, რომ ბანკმა პეტერბურგში იყოლიოს წარმომადგენელი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ბანკის მიერ აღძრულ შუამდგომლობას და გირავნობის ფურცლების კურსსა.

◆ ქუთაისში ნამდვილი ზაფხულის დღეებია.

◆ გუბერნიის მართველის წარმომადგენელნი სასტიკად იკვლევენ, ჰქონდა თუ არა ლაპარაკი თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს სათავად-აზნაურო არაჩვეულებრივ კრებაზე გუბერნატორის უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ფულის შეკრებაშიაც თავის დეფიციტის დასაფარავათ დიდი უნარი გამოიჩინა. გამგეობა კრებას კრებაზე ჰმართავს თეატრის გულშემატკივართა თანადასწრებით და მათის დახმარებით იკვლევს საშუალებას ფულის შეკრებისას. წარსულ კრებაზე, რომელსაც სხვათა შორის, მეძლებული ებრაელნი დესწრენ, ხელის მოწერით შეიკრიბა ას თუმნამდე. ამნაირივე კრება კვლავაც გაიმართება.

◆ როგორც იკვლევა განსვენებული ილია ჭავჭავაძის საღამო 27 ოქტომბერს, ფრიად საინტერესო იქნება. საღამოში მონაწილეობას იღებენ ბ-ნი სოფ. მგალობლიშვილი, თ-დი გრ. დიასამიძე, თ-დი კოლა ერისთავი, ბ-ნი ლავრ. წერეთელი, თ-დი კიტა აბაშიძე, ბ-ნი დ. უზნაძე, ბ-ნი მ. ქორიძე, ქ-ნი ნ. ჩხეიძისა, ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა, ადგილობრივი ხორო ბ-ნი მ. შარაბიძის ლოტბარობით და სხვანი. ამის გარდა საღამოზე ცოცხალი სურათები იქნება ნაჩვენები განსვენებული ილია ჭავჭავაძის თხზულებიდან..

◆ ქალაქის სამაზრო კომისიის წევრი, ხმოსანი ს. ბოკერია აცნობებს ქალაქის გამგეობას: მთელი ქალაქი სავსეა სხვა და სხვა ადგილებიდან ჩამოსულ ჩარჩებით, სირაჯებით, რომელნიც ქალაქიდან ეზიდებიან ყურძენს, რის გამოც ყურძენი ძლიერ გაძვირდაო. ამიტომ სთხოვს ქალაქის გამგეობას, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას და ხსენებული ჩარჩები აილაგმოსო. („კოლხ.“)

◆ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში დატუსაღებული იასონ ახვლედიანი 13 ოქტომბერს ისევ გაანთავისუფლეს. („მნათობი“)

## პროვინცია

◆ სოფ. ტროიცკაია (სიღნაღის მაზრა). 4 შეიარაღებული უცნობი ფედოტ ნიკოლის სახლში შევიდნენ და იარაღი მოსთხოვეს. სახლი გასჩხრიკეს და, იარაღი რომ ვერ აღმოაჩინეს, წავიდნენ, ეზოში მეზობელი ტიმოთე ჩოხაძე შეხვდათ, რომელსაც ხელში ბერდანის თოფი ეჭირა. თოფი წაართვეს. რამდენჯერმე დასცალეს და მიიმალნენ.

◆ სოფ. მირზაანი (სიღნაღის მაზრა) მთვრალ მიხეილ ბაკაშვილს სოლომონ ანუიშვილთან ჩხუბი მოუვიდა და ხანჯლით დასჭრა. დაჭრილი იქვე გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს.

სოფ. გოგრულთა (თიანეთის მაზრა) გიო ჯახარიძეს საბალახოდან უცნობ ბოროტმოქმედებმა 15 ცხენი მოსტაცეს. მძარცველებს საეროზო დარაჯები და სოფლელები დაედევნენ. სროლის შემდეგ მძარცველებმა ცხენები დასტოვეს და მახლობელ ტყეში მიიმალნენ. ვინაობა ყაჩაღებისა გამოურკვეველია.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელს რეცენზიაში შეცდომითაა დაბეჭდილი: ერიკისათვის არა არსებობს ზნეობრივი წარმოება; უნდა იყოს: „ზნეობრივი ნორმები“.

# ქუთაისის ვითარება

ერთ კვირაზე მეტმა დრომ განვლო მას აქეთ, რაც რეალურ სასწავლებელში ორი დირექტორი დასჭრეს და დღესაც არ შეჩერებულა ლაპარაკი ამ ამბის გამო, დღესაც იმავე ინტერესით იკვლევენ ამ სროლის მიზეზს და თან გაფაციცებით ეძებენ დამნაშავეს. მკითხველი მიხვდება, რომ ამ მრავალ მითქმა-მოთქმაში ათასნაირი აზრი და ჭორი იბადება. მაგალითად, ვითომც სასწავლებლებში დააწნიეს პროკლამაციები, რომლებშიაც ემუქრებოდნენ სიკვდილით ოცადა-ათზე მეტს მასწავლებელს და სამასწავლებლო ოლქის ინსპექტორ სლოვინსკის, ნამდვილად კი არაფერი მსგავსი არ მომხდარა. ასეთი ხმები საქმეს უფრო ამწვავებენ და ისედაც გამწვავებულ დამოკიდებულებას ართულებს. საზოგადოების ერთი ნაწილი, სახელდობრ რუსები, რომელნიც ჭეშმარიტ რუსთა ჯგუფს ემხრობიან, ყოველ ღონეს ხმარობენ, დაამტკიცონ, რომ ეს სროლა ნაციონალურ ნიადაგზეა დამყარებული და ყოველ საბუთს იყენებენ ამ აზრის დასამტკიცებლად. ზოგი ერთი მათგანი ქუჩაში ისე არ გამოვა, რომ თან შეიარაღებული მცველი არ ახლდეს, ვითომ და იმის შიშით, რომ მათაც დირექტორების საქმე დაემართებათ. სხვები, როგორც ქალაქში ხმა დადის, ტფილისიდან მოსულ ოლქის

# ბაქოს ქართველობა.

(მწარე სინამდვილე)

საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების ნიშნობრივ თვისებას შეადგენს მშრომელ გლეხ-კაცობის შეუწყნარებელი უმიწა-წყლობა. სხვაგან იშვიათად შეხვდებით გლეხ-კაცობას ისე უმიწა-წყლოდ, როგორც საქართველოში. რუსეთელ გლეხის ორ დესიატინას თავს დასტირის ყოველი მკვლევარი რუსეთის გლეხ-კაცობის ცხოვრებისა, ჩვენში კი ერთი დესიატინა არ მოდის გლეხ-კაცობის დიდ უმრავლესობაზე და დუხჭირ მთავრობას ეს არაფრად მიაჩნია. მიუხედავათ ამისა, ამ გარემოებამ თავისი ნაყოფი გამოიღო: მიწის ყალბი ელემენტის (თავადაზნაურობის) ხელში შეგროვებამ, ხოლო წარმოებელ გლეხ-კაცობის უმიწა-წყლობამ ქრონიკულ მოვლენად გადააქცია სოფლელთა შიმშილობა, მუდმივი მოუსავლობა და დაკნინება; სოფლის კარ-მიდამოს მიტოვება, შორეულ ქვეყნებში გარდახვეწა. ეროვნულ ცხოვრებას მოშორება...

მთელ ამიერ-იმიერ კავკასიის მრეწველობის განვითარებამ ეს უკანასკნელი გარემოება ქართველთა შორის აუცილებელ მოვლენად გახადა, დააკანონა. უკანასკნელმა, დაქსაქსულ და დაუძლურებულ ქართველებ შორის, გემრიელი სალუკმო და საექსპლოატაციო ობიექტი გაიჩინა. კავკასიის მრავლად დასახლებულ ერებში, არცერთ ერში არ დაწყებულა ისე მძლავრი ხალხთა მოძრაობა, იქით-აქეთ სიარული და სამუშაოს ძებნა, როგორც საქართველოში. ვერ დაასახელებთ ისეთ კუთხეს, სადაც მუშა ხალხის მოთხოვნილებაა, რომ იქ ქართველი არ შეგხვდეთ. მე არ ვამბობ ბათუმზე, ფოთზე, ტფილისზე, არ ვამბობ სოხუმზე, ოჩამჩირეზე, ოზურგეთზე, ზუგდიდზე, ხონ-ქიათურაზე, სიღნაღ-ახალქალაქზე და სხვა—სადაც ქართველი მუშები აბრუნებენ მთელ ეროვნულ სიმდიდრის საქმეს. გაიხედეთ როსტოვში, არმავირში, კავკაზში, ოდესაში, ტაგანროგში, თვით მოსკოვ-პეტერბურგშიაც კი თქვენ ნახავთ ქართველ მუშას, შრომის გამქირავებელს, „შავ“ მუშებიდან დაწყებული ვიდრე უმაღლეს ცოდნით აღჭურვილამდის.

ბაქო—თავის რაიონებით—ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელსაც თავის ფულითა და მანქანით კარგა ბლომა ქართველობისათვის მოუყრია თავი, საქართველოს დიად წიაღიდან გამოუტაცნია აუარებელი ხალხი და უცხო „მუსულმანეთში“ „მაზუთი“-ს სამეფოში ჩაუთრევია როგორც ყველა ქალაქების, ისე ბაქოში თავმოყრილი ქართველობა, პირველ შეხედვით, ერთს საუკეთესო, მოწინავე ნაწილია. განა ხუმრობაა, კაცს სახლის კერა მიუტოვებია, „პიჯაკი“ გადაუცვამს, რუსული ანა-ბანა შეუსწავლია და სწრაფლ-მავალ მანქანით შვიდასი ვერსის მანძილზე გადაფრენილა—რა თქმა უნდა ნამდვილი „ევროპიელი“ იქნება ასეთი ქართველი, უფრო მოხერხებული, უფრო მარჯვე და გამოქნილი ვინემ შინ დარჩენილი. მართლაც, ბაქოელ ქართველებში უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის მცოდნეა, ასე თუ ისე თითქმის ყველას ესმის რუსული, ხშირად თათრულიც და პოლიტიკა—ანგარიშში ხომ გაწაფულია. ყველა ამის შემდეგ ბაქოელი ქართველობა კულტურის გამომხატველად უნდა ჩაითვალოს; მაგრამ, როცა ნამდვილად დაუახლოვდებით აქაურ ქართველის ტიპს და მის სულისკვეთებას, სახტად რჩებით, გული ბოღმით გევსებათ. თქვენ პირველ ყოვლისა ამ ტიპში დაინახავთ ყოველმხრივ ჩამორჩენილობას, უაზრო არსებობას და დენაციონალიზაციის უტყუარ ნიშნებს.

ნამდვილად, ამ უკანასკნელ ეროვნულ თვით-ცნობიერების მხრივ რას წარმოადგენენ ბაქოელი ქართველები?

ზოგიერთნი ბაქოს ქართველებს ეროვნულ თვით-ცნობიერების პიედესტალზე აყენებენ, ხოტბას ასხამენ და გუნდრუკს უკმევენ. განა ბაქოელ ქართველების დაუღალავ მუშაობას არ უნდა მიეწეროს ის საკვირველი გარემოება, რომ შიიტ-სუნიტ და გრიგორიანთა ქალაქის თვითმმართველობამ ქართველების სკოლას ძვირფასი მიწა-ადგილი დაუთმეს, სრულიად უფასოდ ქალაქის საუკეთესო ადგილას? განა ეროვნულ გრძნობათა სიცხოველეს არ მოასწავებს, როცა ბ. მანსვეტაშვილი ათას მანეთებით საძირკველს უყრის ქართულ ან-ბანის ტაძარს თვითმმართველობის მიერ დათმობილ მიწაზე? განა სამშობლოსა და მამულისადმი ღრმა სიყვარულით არ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თავადი დადიანი თავისი ოჯახობით მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართულ ტრადიციონურ „სანინოო“ დღესასწაულის მოწყობაში? რომელი ერთი აღვნუსხო? ექნება რედაქტორ ჯინორიძის ქათინაურებიც მარტინოვის მიმართ უნდა იქნას ჩათვლილი ჩვენის ეროვნულ თვით-ცნობიერების აქტივში!

ერთის სიტყვით ბაქოს ქართველობა „შორიდან მტერს ჰკლავს და ახლოდან მოყვარეს“—ის ვითომ იწვის მაგრამ ნამდვილად კი წარმოუდგენელ ფუქსავატობისა და სიცალიერეს გამოხატულებაა...

დიახ, თქვენი უმორჩილესი მონა ბაქოელ ქართველების შესახებ პესსიმისტური შეხედულობისაა. ჩვენის აზრით, ბაქოელ ქართველობას ერთიანად მისჩქმალვია ეროვნული სულისკვეთება, ეროვნულ კულტურის განვითარება. მაგრამ რას ვამბობ! ქართველები ბაქოში და ქართული კულტურა!—ეს ხომ ორი სხვა და სხვა და ერთი მეორეს საწინააღმდეგო ცნებაა, რომელთაც ბაქოს ცხოვრებაში არავითარი ნიადაგი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ალაგი არა აქვს?

ბაქოს ბურჟუაზიულმა და ბიუროკრატიის მსახურმა გაზეთებმა, ამას წინად, სხვათა შორის, გვამცნეს ბაქოში ოთხი ათასი ქართველიაო, თუმცა ჩვეულებრივად 5,000 ამბობენ. ჩვენც ოთხი ათასი ვსთქვათ, ბაქოში ოთხი ათასი ქართველია და ამ ქართველებს ერთი სამკითხველოც არ მოეძებნებათ, ერთი ისეთი დაწესებულება არ გააჩნიათ, რომლითაც მტკიცდებოდეს ქართველთა საერთო ინტერესები, ეთნოგრაფიული ერთიანობა, სოციალურ და ეგო-ალტრუისტულ გრძნობათა სიცხოველე.

მე დაბეჯითებით ვამბობ, რომ უმრავლესობა ბაქოელ ქართველებისა სულით და ხორცით დაკნინებული მასსაა ქართულ საზოგადოებისა, ის ჩვენი ერის ზედმეტი ჭუჭყია და მეტი არაფერი. მაპატიეთ ასეთი სიმკაცრე, მაგრამ ეს სინამდვილეა! ბაქოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება—ეს რეალური ფიქციაა, არც იქ „არსებული“ (? თ. ღ.) ქართული სამკითხველოა ჭეშმარიტება, სადაც საჭიროების მიხედვით შეგვეძლოთ ქართულ-ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერება, ჩვენი ცხოვრების გაცნობა. ამ სამკითხველოში არავინ დაიარება, ი[…] ხალხს ვერ იპოვნით.

მაგრამ, კიდევ რას ვამბობ! გაზეთი და ბაქო?! თუ რას წარმოადგენს სინამდვილე და ბაქოელ ქართველთა კულტუროსნობა, მე მოვიყვან პატარა ცნობას ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაზე ბაქოში თვით სა[…] აგენტოს ბიუროს ცნობით. რა უნდა ჩაითვალოს ქართველთა შორის ურთი-ერთის განმამტკიცებლად და [...] მახასიათებლად, თუ არა ქართული გაზეთი? საიდან უნდა ვეცნობოდეთ ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას, ჩვენ[…]

ინსპექტორ სლოვინსკის არწმუნებენ თურმე ეროვნული განხეთქილება დირექტორების დაჭრის მიზეზი და ამას იქით მეტსაც უნდა მოველოდეთო. ერთი სიტყვით, საქმე რაც დრო გადის, უფრო მწვავდება. გვეგონა, სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელი სხვა პოზიციას დაიჭერდა და ეცდებოდა მიუდგომლად გამოეკვლია დირექტორების დაჭრის მიზეზები, მაგრამ აქაც უნუგეშო ხმები ისმის. ბ-ნი სლოვინსკი, შთაგონებით და წინა განზრახვით, საქმის გამოძიებას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს. თურმე, ეს ელფერი იმაში გამოიხატება, რომ ბოროტ-მოქმედებას პოლიტიკურ სარჩულს უდებს. მას მთელი მოწყობილი ჯგუფი ამზადებდა და მომხდარი ამბავი მხოლოდ დასაწყისია სხვა ამ გვარი საქმეებისა. ამისათვის ბ-ნმა სლოვინსკიმ, როგორც მაისში, ეხლაც გამომძიებელის როლი იკისრა და იქამდისაც კი მივიდა, თურმე, რომ მასვე უტვირთნია (თუ უტვირთებიათ), თ-დი დავით ნიჟარაძის იმ ინციდენტის გამოკვლევა, რომელიც ქართულ გიმნაზიაში მოხდა ბ-ნ სილოვან ხუნდაძის „კოლხიდაში“ დასტამბული წერილის გამო.

ერთი სიტყვით, სამოსწავლო უწყების წარმომადგენელმა მაგისტრატურის როლი იტვირთა და ვშიშობთ ეხლაც ისეთი ნაყოფი არ გამოიღოს მისმა მოღვაწეობამ, როგორც მაისში.

# სასამართლოს დარბაზიდან

**შუა აზიის რკინის გზაზე საფოსტო ვაგონიდან 469,500 მან. გატაცების საქმე.**

14 ოქტომბერი.

სასამართლოს სხდომა დილის $10\frac{1}{2}$ საათზე იწყება. პირველად ჩვენებას ართმევენ მე-79 კურინის პოლკის შტაბს-კაპიტანს ჩიქოვანს და პორუჩიკ ფადეევს, რომელნიც პორუჩიკად ნამყოფ ოთხმეზურის მოწმენი არიან.

ოთხმეზურის დამცველის მალიანტოვის კითხვებზე ჩიქოვანი უპასუხებს: ამ საქმისა არა ვიცი რა. ოთხმეზურს დიდი ხანია ვიცნობ (15—16 წელიწადი იქნება), 1908 წელს კურინის პოლკში ერთად ვმსახურობდით. ოთხმეზურს ფული არასოდეს არ უჭირდა. ბანქოს თამაშობას მისდევდა. არ ვიცი, იგებდა თუ აგებდა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ დიდს ფულზე თამაშობდა. ოთხმეზური მანჯურიაში იყო ომიანობის დროს და იქიდან რომ დაბრუნდა, ფულიან კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა. ამბობდნენ, იქიდან ფული მოიტანა ბანქოში მოგებული. ის კი არ გამიგონია, რამდენი მოიგო. საერთოდ, ოთხმეზური ამხანაგებში ცნობილი იყო, როგორც პატიოსანი, გულ-კეთილი და რიგიანი კაცი.

**პორუჩიკი ფადეევი** ადასტურებს, რომ ოთხმეზურს ფული ყოველთვის ჰქონდა და ჩვენში საუკეთესო ამხანაგადაც ითვლებოდაო.

**მოწმე ფლამანი** (თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე, რომელიც წინად ტფ. პირველ საპოლიციო უბნის ბოქაულის თანაშემწე იყო) ადასტურებს თავის წინანდელს ჩვენებას, რომელიც გამბერგის ჩვენებისაგან არ განსხვავდება.

**ბრალდებული ნ. ივანოვი** (ფლამანს): თქვენ ამბობთ, ივანოვმა ჩაფარს კვთინხევში ფული შეაძლია და მე ამ დროს 40 ნაბიჯზე ვიდექი და ყველაფერი გავიგონეო. ერთი მიბრძანეთ, რომელ ენაზე ველაპარაკებოდი ჩაფარს.

**მოწმე ფლამანი**: ქართულად ელაპარაკებოდი... გავიგონე აგრეთვე, რომ რუსულიც ჩაურთეთ „600 рублей“-ო.

**ბრალდ. ივანოვი**: ქართულად რა სიტყვა ვსთქვი? ერთი მაინც დაასახელეთ.

ფლამანი არას უპასუხებს.

**მოწმე ჯიჯიეიშვილი** (პირველ საპოლ. უბნის ზედამხედველი) ამოწმებს გამბერგისა და ფლამანის ნათქვამს.

უძახიან მოწმეს მღვდელს გედევანიშვილს.

**თავმჯდომარე**: ნიკოლოზ ივანოვს იცნობთ?

**მოწმე მღვდელი**: ნიკოლოზ ივანოვს ვიცნობ, რადგანაც ჩემს მრევლში სცხოვრობდა. მაგას დედა მოუკვდა და მე დავუმარხე. დასამარხი ფული დღესაც არ მიმიღია, თუმცა ის ფული წერილითაც ვთხოვე. სხვა არა ვიცი რა მაგის შინაურ ცხოვრებისა, რადგანაც არ მეინტერესებოდა არც თვალყურს ვადევნებდი.

**მოწმე ბარსეგ პეტროსიანცი**: ტფილისში მე ნიკ. ივანოვის მეზობლად ვცხოვრობდი. ივანოვის დაჭერის შემდეგ სამი-ოთხი დღე გავიდა, როდესაც ჩემთან პოლიციის სამმართველოდან პოლიციელი მოვიდა და მითხრა, ივანოვმა გთხოვა სახლისა და ცოლშვილის ამბავი მომწერეო. მაშინვე წერილი დავაწერინე ერთ ნაცნობს, რადგანაც მე თითონ ქართული არ ვიცი და პოლიციელის ხელითვე გავუგზავნე. სხვა არა ვიცი რა.

**მოწმე მიკირტიჩევი** (კრასნოვოდსკში სასტუმრო აქვს). ერთს ბრალდებულს არ ვიცნობ და არც ფულის გატაცებისა რამ ვიცი.

პროკურორი მოსამართლეებს სთხოვს ყურადღება მიაქციონ წინააღმდეგობას მოწმის ახლანდელ და წინანდელ ჩვენებაში, რაიც გამოიხატება იმაში, რომ მოწმეს, როდესაც გამომძიებელს ბრალდებულთა სურათები უჩვენებია, უთქვამს, ნიკ. ივანოვი, ლილუაშვილი (რომელიც ამ ჟამად გაქცეულია) და ხავთასი მინახავს კრასნოვოდსკში და ერთხელ მათ პურიც სჭამეს ჩემს სასტუმროშიო.

**მოწმე ჩივაძე**: ამ საქმისა არა ვიცი რა. ვიცნობ ბრალდებულებში მხოლოდ ნიკ. ივანოვს და ისიც ვიცი, რომ ეგ კარგი კაცია.

**მოწმე გრიგოლ მაისურაძე** (ტფილისელი ოქრომჭედელია): ბრალდებულებში მეცნება მხოლოდ ნიკ. ივანოვი. სად მინახავს, არ ვიცი.

**თავმჯდომარე**: არ გახსოვთ, რომ ივანოვს თქვენგან ნივთები ეყიდოს?

**მოწმე**: არ მახსოვს.

ივანოვის დამცველი ბოგდანოვი სასამართლოს უდგენს ბარათს, საიდანაც სჩანს, რომ ივანოვს მაისურაძის მაღაზიაში ნივთები უყიდნია. მაისურაძეც ამტკიცებს, ეს ბარათი ჩვენის მაღაზიიდან არის მიცემულიო.

უძახიან ჟანდარმთა პოდპოლკოვნიკს ლუბაკოვს, რომელიც პიატიგორსკში მსახურებს. იგი კაპიტან ერმოლოვის საქმის თაობაზე მოწმედ არის გამოწვეული.

**ლუბაკოვი**: 1909 წელს ორჯელ მაცნობეს, პიატიგორსკში ჩამოვიდა კაპ. ერმოლოვი, თან ორი მცველი ჰყავსო. მას ბრალდება სადღაც ფულის გატაცებაო. ამ განცხადებას მე ყურადღება არ მივაქციე. ბოლოს დაიჭირეს კაპ. ერმოლოვი და საქმის გამოძიება მე მომანდეს. მე გამოვარკვიე შემდეგი: კაპიტან ერმოლოვს როსტოვის აზოვ-დონის ბანკში შესანახად შეუტანია 50,000 მანეთის უხმარი ხუთ მანეთიანები და ჩქარავე ეს ფული პიატიგორსკის განყოფილებაში გადმოუწერია. მთელი გამოძიება დანიშნულებისამებრ გავგზავნე.

**მოწმე რაევი** (ტფილისში ნომრები აქვს): მიხეილ ივანოვი ჩემს ნომრებში ხშირად ჩამოხტებოდა და ზომიერად ცხოვრობდა. ზოგჯერ მას კოსტავაც მოჰყვებოდა ხოლმე.

გამოკითხულ იქმნა რამდენიმე სხვა მოწმე და სხდომა 5 საათზე შესწყდა. განაგრძობენ 15 ოქტომბერს, 12 საათზე.

# შემოდგომის მელოდია

კიდევ „ოლ-ოლს“

ა

ვინა სთქვა:—სცოცხლობს სული ცოცხალი?
მაშ რად არ მქენჯნის ტანჯვა ახალი?
ვინა სთქვა:—სატრფო მყავს ჯადოსანი?
მიკვირს! მაშ რატომ არ ვარ მგოსანი?

*

სტიროდეთ ჩემს ნაზ-გრძნობის გაზაფხულს,
ყინულის ველზე წყევლით დამარხულს.

ბ

ოჰ, არა, არა! ჩემს სულის სამყოფს
გთხოვთ, გთხოვთ ნურავინ ნუ შეურაცხჰყოფს.
ოჰ, ჩემი სატრფო?—ის წმინდა არის,
ვით ჩემი ლექსი, ვით მტვერი ქარის;
ის წმინდა არის, ვით მუმლი ტყისა,
ვით ეშმას ქნარი, კოცნა ცოდვისა.

*

სტიროდეთ ჩემს სულს, ჩემს გიჟ სიყვარულს,
ყოფნის კოკორში ცრემლად დაფარულს!

გ

ოჰ, ცავ და მიწავ! მითხარით რად, რად,
რად გავათენე ეს ღამე თეთრად?
სიყვარულს ეძებ? სულო, შემცდარხარ,
ის არ არსებობს... არვის უყვარხარ.
რასაც სახავდი ქვეყნის სიმბოლოდ,
ის ზამთრის ბოდვა ყოფილა მხოლოდ.

*

სტიროდეთ ფსალმუნს ცრემლით გაცრეცილს,
ჯერ ხელ-უხლებელს, წმინდათ დაკეცილს.

ი. გრიშაშვილი.

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

14 ოქტომბერი.

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატამ განიხილა ერთი ჯგუფის მიერ აღძრული საკითხი, ჩინეთში წესრიგის აღსადგენ ზომების თაობაზე მეფის მოსახსენებლად. მოხსენების უმთავრესი მუხლია: უნდა დაარსდეს პასუხისმგებელი კაბინეტი იმპერატორის სახლობის დამოუკიდებლად. მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის დიდებულნი, რომელთაც ხალხი არ ენდობა. დეპუტატმა საკონსტიტუციო პალატის კანონების შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. ამნისტია უნდა გამოცხადდეს. საპოლიტიკო საქმის მდევნელნი და ახლანდელ უბედურების ამშლელნი უნდა დაისაჯონ.

**მუკდენი.** დაცვის ზომები გააძლიერეს. ყველგან ჩხრეკაა, პოლიცია უთმო ჩინელებს სასტიკად ეპყრობა. დააპატიმრეს 3 საეჭვო ჩინელი, რომელიც პეკინიდან მოვიდა. მცხოვრებლები ამისთანა სისასტიკით უკმაყოფილონი არიან.

სამხრეთისაკენ ჯარსა და იარაღს გზავნიან. გენერალ-გუბერნატორმა ვერცხლის შემოტანა სასტიკად აკრძალა. ამის გულისთვის იაპონელებსა და ჩინეთის პოლიციას შეტაკება ჰქონდათ, რადგან იაპონელებს 75 ათასი მანეთის ვერცხლის ფული მიჰქონდათ. ერთი იაპონელი მძიმედ დასჭრეს, სხვები დააპატიმრეს, მაგრამ იაპონიის საელჩოს მოთხოვნით ისევ გაანთავისუფლეს. ყველა სადეპეშო კანტორებში კრძალავს დეპეშებს აღარ იღებენ იმ პროვინციებიდან, სადაც რევოლუცია არის.

**პეკინი.** იუანშიკაის უმაღლეს რწმუნებულის წოდება ებოძა. მას დაემორჩილება მეამბოხეთა წინააღმდეგ მომქმედი ხმელეთისა და საზღვაო ჯარი. იგი სრულიად დამოუკიდებლად იმოქმედებს. მის საქმეში ვერც სამხედრო მინისტრი ჩაერევა. სამხედრო მინისტრს ინჩანს ებრძანა, საქმეები ფინგონჩანს ჩააბაროს. ინჩანი იუანშიკაის მოსვლის შემდეგ პეკინს უნდა დაბრუნდეს. უქაზით მწუხარებაა გამოცხადებული კანტონში რევოლუციონერებისაგან ფინშანის მოკვლის გამო. ქვრივმა დედოფალმა ქუბეის ამბოხების მოსასპობად მილიონ ნახევარი შესწირა. მეამბოხენი სინფუდან აღმოსავლეთისაკენ მიდიან. ხმა გავარდა, ქენაანის მეამბოხეებმა ხუანზედან 50 ვერსის მანძილზე მდებარე სადგური ჩენუფოუ აიღესო. პროვინცია ჩეცზიანში, ხანჩოუფოს ჯარის აჯანყებაა.

**გაზეთებიდან.**

**თავისებური ბრძოლა.**

„ტიმესის“ კორესპონდენტი ხანკოუს ბრძოლის თაობაზე სწერს:

— ეს ძალიან თავისებური ბრძოლა იყო. ზარბაზნის ხმა რომ შემოესმათ, ორივე მხარე აქეთ-იქით გაიქცა. ბრძოლის ველზე აღარავინ დარჩა. მხოლოდ მერე, როცა მზვერავთა შემწეობით აჯანყებულებმა გაიგეს, შიში არაფერისაო, დიდის ზეიმით მიუახლოვდნენ მთავრობის ჯარის მიერ მიტოვებულ ბანაკსა და დავლა წაიღეს. მთავრობის ზარბაზნიდან ნასროლი „ყუმბარა“, რომელმაც გერმანელთა კონცესიამდე მოაღწია, ხისა აღმოჩნდა.

ჩრდილოეთისაკენ წასულ მთავრობის 3,000 ჯარის კაცს მეამბოხეებმა გზა მოუჭრეს.

**მდგომარეობის ვითარება.**

პეკინში კანტონის ვიცე-კოროლისაგან ამბავი მოვიდა, მდგომარეობა ძალიან საშიშიაო. ჯარში მოძრაობაა და უეჭველად საჭიროა რევოლიუციონერებს დავუთმოთო.

მთავრობამ კანტონისა, ნანკინისა და იუნანის ჯარს იარაღი აჰყარა, რადგანაც ვერ ენდობა.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

14 ოქტომბერი.

**სტამბოლი.** ჯებელს ახლო ოსმალონი და არაბნი სამი ათასს იტალიელს დაეცნენ. იტალიელებს სამასი კაცი დაუჭრეს და მოუკლეს. იტალიელებმა გემეზე ზარბაზნებს მიაშურეს. ტრიპოლიში მყოფ ჯარის უფროსმა ნეშადმა დეპეშით მოხსენება გამოჰგზავნა: 5 ოქტომბერს, ბენგაზს 24 გემი მოვიდა. იტალიელებმა შუამავლები გამოჰგზავნეს და ჩვენ ჯარს იარაღის დაყრა ურჩიეს. თუ არ დაგვმორჩილდებით, ზარბაზნს დაგიშენთო. გუბერნატორმა უარი უთხრა. ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს. ხომსში მყოფ გარნიზონის ცნობით იტალიელების ჯარი გადმოსულა. ოსმალონი და მოხალისენი მესალტაში გამაგრდნენ. გაზეთ „საადეტის“ გამომცემელს სამხედრო-საველე სასამართლომ სამი თვის ციხე გადაუწყვიტა.

**ტრიპოლი.** დილის 7 საათზე ოსმალებმა და არაბებმა მე-80 და მე 82 პოლკზე იერიში მიიტანეს. ბრძოლამ დილის 9 საათამდე გასტანა.

მელშიაც იგინი ჰპანს ეწევიან—თუ არა ჩვენი გაზეთებით? ამ მხრივ რანი არიან „Баку“, „Каспій“, ფუქსავატი „Бакинецъ“? დიახ, ჩვენი ეროვნული სულისკვეთების მატარებელნი მხოლოდ ქართული გაზეთებია და, აბა, როგორ ეპყრობა მათ ბაქოს ქართველობა? ბაქოს და მის მიდამოში ვრცელდება ქართული გაზეთი დაახლოვებით:

| გაზეთები. | მოაქვთ ცალი | ჩვეულებრივად რჩება გაუყიდავი. |
| --- | --- | --- |
| „სახალ. გაზ.“ | 40 „ | 2—3 |
| „მნათობი“ . . | 30 „ | — |
| „კოლხიდა“ . | 20 „ | 3—5 |
| „კოოპერაცია . | 10 „ | 1—2 |
| „სინათლე“ . . | 10 „ | 7—8 |
| „ბათუმ. გაზეთი“ | არ მოაქვთ. | |
| „თემი“ | არ არის ცნობა. | |

და ეს, სამშობლოდან ოთხი ათას გადმოხვეწილ ქართველებში! დღიური გაზეთები ბაქოში ტფილისიდან, ქუთაისიდან თუ ბათუმიდან ჩამოდის სულ ასი ცალი (40+30+20+10), საიდანაც მხოლოდ 80 ცალი სადდება ყველა მიმართულებისა. ბაქოს ცხარ-მაზარ მიდამოში და რაიონებში ქართულ გაზეთს საერთოდ კითხულობს მეორმოცდა ათე ნაწილი ქართველობისა. 50-კაცზე მხოლოდ ერთი გაზეთი მოდის! და ამის შემდეგ, აბა მითხარით, სად არის ამ ქართველებში თვით-ცნობიერების ნატამალი. რას აკეთებს დანარჩენი 49 კაცი, რომელსაც ერთხელაც არის არ აგონდება თავისი ქვეყანა, მისი მდგომარეობა, თავის სამშობლოს ბედნიერება თუ უბედურობა?

დიახ, უუდიდესი ნაწილი ბაქოელ ქართველობისა სრულიად მოწყვეტილია ქართულ ეროვნულ კულტურას; მას საერთო არა აქვსრა სამშობლოსთან, გარდა გვარის თანდებულ ძვსა თუ შვილისა.

მაგრამ, ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ ბაქოელ ქართველების ეროვნულ თვით-ცნობიერების გასაშუქებლად, და ჩვენი პესიმიზმის შესამსუბუქებლად.

ჩვენა ვთქვით, ბაქოს გაზეთების ჩვენების თანახმად, რომ ბაქოში ქართველები 4,000-მდე ირიცხება. ეს ცნობაც გადაჭარბებულად მიგვაჩნია. ბაქოელ სტატისტიკას, ალბად, ვერ გაუგია ყველა ეროვნებათა ნამდვილი რიცხვი სტატისტიკა მუდამ უნდა ეყრდნობოდეს ერთ უმთავრეს წესს, სისტემას კვლევა-ძიებაში და ამა თუ იმ ფაქტორის არსებობით ამა თუ იმ ერს უნდა რიცხავდეს სათანადო რიგში. ხშირად სტატისტიკები ეროვნობის გამოცნობის დროს დიდ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივობას, ხან გვარ-ტომობას, ხან კი—პირდაპირ მშობლების, ჩვენი ამხანაგების იმ სოციალურ-ეკონომიურ წრეს, რომელსაც ფესვები სამშობლოში ...

პასპორტსა და სარწმუნოებას. შეუძლებელია ამ ფაქტორებს დიდი ადგილი არ დაუთმოს ეროვნობის გამორკვევაში, მაგრამ შეცდომის აშორებაც შეუძლებელია. აი კონკრეტიული მაგალითიც. ბ. კანდელაკი, სამტრედიელი, ქუთაისის მაზრისა და იმავე გუბერნიისა; რომელ ეროვნებას უნდა ეკუთვნოდეს ეს პირი? რა თქმა უნდა ქართულს, ქართველთა მოდგმას, მაგრამ აი აქ შეიძლება შეცდომა. ბაქოში მრავალია კანდელაკები, სტურუები, კაკაბაძეები და სხვა. გვარით ქართველები, პირველყოფილ მოდგმით, პირველ-ყოფილ ვინაობით მისულა ქართველი, მაგრამ დღეს კი სრულიად გადაგვარებულა. გადაგვარებული არა მარტო ენის მხრივ, არა მარტო ჩვეულებით, არამედ მთელ თავის თვით-არსებობით, მთელ თავის პიროვნებით თუ ოჯახობით. მართალი მოგახსენოთ, მე გადაგვარებულ ქართველზე ლაპარაკი დემაგოგიათ მიმაჩნდა ქართველ ნაციონალისტების მხრივ, მაგრამ პეტერბურგმა დამარწმუნა, რომ გადაგვარებული ქართველი მართლა არსებობს, მართლა არის ქართველი გვარით, სახელით, მაგრამ რომელსაც აღარ ესმის არც ქართული ენა, არც ქართული წერა-კითხვა, ქართული ზნე ჩვეულებანი და არც თავის სამშობლოს იცნობს, აღარც ენატრება იგი!

ბაქოს ქართველებში ასეთი ტიპები მრავალია. თუ პეტერბურგში ასე გადაგვარებულნი უმაღლეს წოდების კაცებია, ბაქოში გადაგვარებულთა შორის უბრალო მომაკვდავებიცაა, უბრალო მუშები და მისი ოჯახობა. მე პირადათ შევხვდი რამდენიმე ოჯახს, სადაც მხოლოდ მამას არ დაჰვიწყებია ქართული, შვილებს ქართულისა აღარაფერი ესმით, დედა კი რუსი გახლავთ და მთელ რვა სულიან ჯალაბობას სათაკილოდაც კი მიაჩნია, რომ ქართულ გვარს ატარებს, სწორედ ისე, როგორც ბრმა მუსულმანები თვდის ნაცვლად ოვ-ის ხმარებას შესჩვევიან. დიახ, ასეთი ქართველებისაგან შესდება ივსება ეს ოთხი ათასი და რაღა უნდა გავიკვირვოთ თუ ამისთანა ხალხში ქართული გაზეთები და წიგნები ვერა ვრ ჯდლდება.

სრულიად გადაგვარების (და არა ბიოლოგიურ მოსპობის) გზაზე სდგანან ზემოხსენებული ქართველები ამიტომ საკვირველადაც არ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ეს ხალხი სრულიად დაქსაქსულია, რომ აქაურ ქართველებს საერთო არა აქვთ რა, მათ არ აერთებს არც უბრალო ალტრუისტული გრძნობა, არც წმინდა ეგოისტური ინტერესები. რაც უნდა სამარცხვინო საქმე ჩაიდინოს ქართველმა ბაქოს ცხოვრებაში, რომელმაც მთელ აქაურ საზოგადოების ზიზღი და კიცხვა გამოიწვიოს, აქაურ ქართველებში ყველა ეს ჩაილულის წყალივით ჩაივლის, თითქო მას დანარჩენი ქართველობა ადასტურებს თავის დუმილით. რაც უნდა საშინელ გაჭირვებაში ჩავარდეს აქაური ქართველი, უადგილობით, საზოგადო პოლიტიკის მიზეზებით თუ სხვა გარემოებით, არავინაა იმისი დამცველი, მისი მოამაგე და დამხმარე. მხოლოდ გულგრილობა, შეუწყნარებელი დაქსაქსულობა და უთვისტომობაა. აი, რა აკავშირებს აქაურ ქართველებს, აი რით შეუძლიანთ იამაყონ ბაქოელმა ქართველებმა.

მაგრამ ესეც ცოტაა. როგორც დაქსაქსული ელემენტები, სათითაოდ ყველა ისინი აღჭურვილნი არიან განუსაზღვრელ ვიწრო ამპარტავნებით, განდიდების სენით და თქვენც წარმოიდგენთ რომ ასეთ უკულტურო ზოოლოგიურ ტიპებში ურთ-ერთ შორის კავშირისა და ერთობის ნაცვლად გამეფებულია შური, ინტრიგა, უხეირო ქიშპობა და სიძულვილი. ეს კი აქაურ ქართველობის დამახასიათებელი თვისებაა. რაც უნდა პატიოსანი იყვეთ გრძნობით, სულით, მიმართულებით თუ უანგარობით, რაც უნდა სადიდებელი იყვეთ, მხოლოდ აქა ჰნახავთ დამცირებას, მხოლოდ აქ ჰნახავთ შეუბრალებლობას. და ამას არა უცხო მუსულმანებში, არა მარტო სომეხ-რუსებში, არამედ შენ სისხლ-ხორც, მონათესავე ქართველში. წარმოიდგინეთ, გულუხვი და ხელგაშლილი ძმანი ზუბალაშვილები, რომელთაც შეეძლოთ არა ერთ და ორ ქართველისათვის მიეცათ საშუალება ლუკმა პურის შოვნისა თავის ერთ-ერთ უდიდეს მრეწველობაში, სათოფეზე არ იკარებს ქართველ მუშებს და იმის 700-მდე მუშებში და მოსამსახურეებში ერთ ქართველს ვერ დაგვისახელებთ! რაა ამის მიზეზი? ამის მიზეზი გახლავსთ, ბატონებო, ჩვენ მიერ დასახელებული გულგრილობა და ურთ-ერთ შორის უნათესაობა ქართველებში, ეს გახლავთ შედეგი აქაურ ქართველების დენაციონალიზაციისა, ეროვნულ დაკნინებისა და გადაგვარებისა.

აბა, გაახილეთ თვალები, შეიგნეთ თვით-არსებობა და პატივი იქონიეთ თავისი პიროვნებისა, უარყავით ვიწრო ეგოისტური მიდრეკილებანი, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი შეკავშირდით, პიროვნების დაცვა მთელმა კრებულმა იკისროს, კრებულისა—პიროვნებამ, ყველამ ერთი-მეორის და თქვენ დაინახავთ, რომ ზუბალაშვილები ქართველის მჭამელები აღარ იქნებიან, ჩვენ ქართველებში მეტი სიცოცხლე გამოჩნდება, მეტი ენერგია და მეტი კულტურა.

მიაქცევს აქაური ქართველობა ეროვნულ კავშირის დაარსებას სათანადო ყურადღებას?—ამას მომავალი დაგვანახვებს, ჩვენ კი ბაქოელ ქართველებისაგან არას მოველით.

თ. ღლონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. ოსმალნი უკუიქცნენ. 9 საათის შემდეგ მარჯვენა ფრთის ხუთმა როტამ წინ წაიწია, მაგრამ, როდესაც არტილერიამ სროლა დაუწყო უკუქცეულ ოსმალებს, გაჩერდა. სამხედრო გემებსაც არ შეუწყვეტიათ სროლა. ოსმალთა არტილერია ძალიან სუსტად მოქმედებდა. მათი ზარალი დიდია.

**სტამბოლი.** „ოტომანის სააგენტო" იუწყება, სამხედრო სამინისტრომ ტრიპოლიდან 10 ოქტომბრის თარიღით დეპეშა მიიღო, ოსმალთა ჯარმა, რომელსაც არაბები ეხმარებოდნენ, იტალიელებზე იერიში მიიტანეს და დიდად დაზარალესო. ოტომანთა ჯარი კარგ გუნებაზეა.

**ქაირო.** ინგლისის დიპლომატთა სააგენტოსთან დაახლოვებული გაზ. „ეგვიპტიან-გაზეთი" ამტკიცებს, ახლა ინგლისი ეგვიპტეს ანექსიას ვერ მოახდენსო.

**რომი.** „სტეფანის" ატყობინებენ, 13 ოქტომბერს ოსმალონი და არაბნი, რომელთაც იტალიელთა მოწინავე პოზიციებს მოაღწიეს, უკუაქციესო. იტალიელებმაც, თავის მხრივ, იერიში მიიტანეს. მტრის ზარალი, ალბად, 1000 კაცზე მეტი იქნება, იტალიელებს ზურგიდან შიში აღარ ელით.

**ტრიპოლი.** 13 ოქტომბრის ბრძოლის შემდეგ მშვიდობიანობაა.

### გაზეთებიდან

დიპლომატთა წრეში ჰფიქრობენ, იტალია ჩქარა ომს ევროპაში გადაიტანსო.

რადგან ერთა შორის მდგომარეობა გამწვავდა, გერმანიასა, ინგლისსა, საფრანგეთსა და ავსტრიაში მყოფი რუსეთის ელჩები პეტერბურგს დაბრუნდნენ.

პარიზში ტრიპოლიდან დეპეშა მიუღიათ, ოსმალეთის ჯარში ენვერბეის ჩასვლამ საქმე ჩინებულად გამოაკეთაო. ეხლა ჯარი ომისთვის მშვენივრად არის მომზადებულიო.

ჰასან ფაშა კარამაკლიმ, იტალიელებს რომ დაემორჩილა, თავის შვილს, რომელიც ტრიპოლის დაცვისთვის ემზადება, შეატყობინა, დაბრუნდი და გენერალი კანევა ყველაფერს გაპატიებსო. ახალგაზდა კარამაკლიმ უპასუხა: „როდესაც ტრიპოლიში შემოვალთ, მოღალატევ, პირველად შენ მოგკვეთთ თავსაო."

იტალიის ჯარი სიმცირისა გამო ტრიპოლის შუაგულში შესვლას ვერ ბედავს და დამხმარე ჯარის მოლოდინშია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს)

14 ოქტომბერი.

### საზღვარ-გარედ.

**კანეა.** საბერძნეთის პარლამენტისთვის დეპუტატების საკითხს ისევ საიდუმლო კრება არჩევს. ლითონაკისმა სთქვა, ავირჩიოთო, მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა.

**ლონდონი.** მუშათა და მწარმოებელთა უთანხმოების მომრიგებელ საბჭოს პირველი სხდომა ჰქონდა. საბჭო წელიწადში სამჯერ შეიკრიბება, თუ საჭირო იქნება, მეტჯერაც.

**ნიუ-იორკი.** ფოლადის მწარმოებელთა კავშირმა გადასწყვიტა ჩრდილოეთის დიდი გზის ხელშეკრულობა გააუქმოს.

**ასტრაბადი.** მიაზთან ბრძოლაში სერდარ-მოხი სასტიკად და საბოლოოდ დამარცხდა.

**ტრენტონი.** სათოფადო ტრესტის წინააღმდეგ შედგენილ საბრალმდებლო ოქმის მიხედვით, სამართალში აძლევენ ფინანსისტ მორგანს, როკფელერს, შვაბს, ბრაუნს სლებენ აგრეთვე ენდრუს, კარნეგის და ქიდს, რომელიც ჩრდილოეთის დიდ გზის გამგეობის თავმჯდომარეა.

**ვენა.** ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავენ. მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, მთავრობას პარლამენტის საჩქარო სამუშაოს მოკვარება უნდა და ამიტომ პარტიებს კი არა ჩეხებსაც მიმართავს, დარწმუნებული ვართ, უნებლედ ბოდ გერმანელს გადაკვეთებთ. გაუზიარებელ პარტიებს მოუწოდებს, შეკვრთ დეთ სახალხო მწიფობის საკუთრივლდეოდ და ტერორის შიშით სოციალისტი ავსტრიის იდეას ნუ დაუთმობთ; და უმეტა კრების უურადღება სახელმწიფო ინტერესებს მიაპყროთ (ტაშის ცემა).

**ათინა.** გაზეთი რწმუნებს, რომ ერეტრიის მიტროპოლიტი ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ბრძანებით, ოსმალთა ჟანდარმებმა მოჰკლეს.

### რუსეთი.

**ლოძი.** სამი შეიარაღებული მძარცველი დაესხა ქვა-ნახშირის საწყობის პატრონს ბერნარდ ენგელსს, მოჰკლეს (?), გაიტაცეს ფული და რევოლვერი.

**პეტერბურგი.** სათათბიროში განათლების სამინისტრომ 24 ათას მანეთის გადადების კანონ-პროექტი შეიტანა. ეს ფული რომანოვების გვარეულობის სამასის წლის საიუბილეო წიგნების გამოცემისთვის უნდა გადადოს.

მინისტრთა საბჭომ მსჯელობაში მიიღო, რომ რუსეთის 18 გუბერნიასა და ოლქში მოუსავლობაა, საზოგადო სამუშაოები საკმაოდ სცნო და გადასწყვიტა დახმარება ფული თავ გაუწიოს, საერთოდ საჭიროა 93 მილიონი. ამ მიზნისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს 45 მილიონი გადაეცა.

**მოსკოვი.** საოლქო სასამართლომ ტოლსტოის წიგნის „ოთხი სახარებას" საქმე გაარჩია და დაადგინა, წიგნი არ მოსპონ.

**ნოვოჩერკასკი.** ურის ქალაქის ფულის გატაცების საქმისთვის დატუსაღებულთაგან ექვსი გაამართლეს, ერთი გაამტყუნეს, პოლიციას არ შეატყობინეო, სხვებს—სასჯელი შეუმსუბუქეს. განაჩენის გამოცხადებას 15 ოქტომბერს მოელიან.

# გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ, 6 ს. 20 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ, 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსკენ:** 1) ჩქარი მატარ N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 20 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარაში დილ. 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარაში ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 24 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ,

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. 8 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათომიდან:** სახალხო N 6, I—III კლას. ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო N 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** საფ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80—81,—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუდიანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ხ. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. ავასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—157)

მუხრანის ქუჩა

## სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

**გ. მ. გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

**მ. კ. ათხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ლ. გ. საყვარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

**იბშეილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.

**გ. ბ. მელიქიშვილი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნ.ს.—1 ნახ. ს.-დე.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

**პავლეში**—კბილისა, 8—10 ს.-დე.

**ლ. მ. მიწანი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლის-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექი ბისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1008—157

## 25,000—30,000 მან.

წმინდა მოგებას იძლევა წელიწადში ერთად-ერთი თვალსაჩინო და ფართედ დაყენებული სავაჭრო წარმოება კავკასიაში, რომელსაც **ამხანაგი** სჭირდება, 3—5000 მანეთის თანხით, ნაწარმოებთა გასავრცელებლად.

**მისამართი:** Меховой тупикъ N 7, დილის 9—1 საათამდე და ნაშუადღევის 3—5 საათამდე, სიონის ტაძრის მახლობლად. (3—872—3)

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

## „SALO-პირილინი"

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში მეგს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

**დეპო:** Петербургъ. Разъѣзжая, N 7, Аптека В. Конгейма.

ფოსტ-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლის მოვაჭრე საზოგადოებაში იყიდება. Метцль. 12429. (45—1014—36)

სამკურნალო კაბინეტი

## ექიმ პ. ს. ფონ-ირტელისა

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი). ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლისის „606"-ის სმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (25.1505.24)

ქ. თელავში

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვის

წიგნი

თვით-მასწავლებელი, 128 სახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—77)

გაუფრთხილდით სიყალბეს!

პროვიზორ

## გ. ფ. იუზერნსის

ბორნო-ტიმოლის

საპონი

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძგებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ ქეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა.

ყველგან იყიდება.

1/1 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭ.—30 კ.

Метцль. 5215. (18—1178—16)

1893 წ. ... ქიმის მედალი, ... [illegible]

უდიდესი

## საჩუქარი

!!!სიცოცხლეში ერთხელ!!!

**600** ნივთი მხოლოდ **3 მ. 90 კ.**

1. მშვენიერი საათი—ანკერ სწორედ მოსიარულე, ექვსი წლის თავდებობით. 2. საუცხოვო საქალებო ბეჭედი, ამერიკულ ბრილიანტით. 3. ჩინებული მანიაკი, ზევს აღმოსავლ. მარგალიტებით და პატენტშესაკრავით. 4. მოხდენილი და ლაზათიანი ქალის სამაჯური ამერიკულ ოქროსი „დუბლე". 5. ჯიბის ლამაზი „ნესესერი" ოთხის ნივთით. 6. ერთი წყვილი საყურე საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტით და პატარა შესაკრავი. 7 მშვენიერი და ლაზათიანი ტყავის საფულე. 8. ალბომი 50 საყურადღებო სანახაობით. 9. მუსიკა-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის მავნებლობის ამაცილებელი. 10. მექანიკ. დასაკეცი მაკრატელი მშვენიერის ბუდით. 11. და კიდევ 500 სხვა საგულისხმო და სასარგებლო ნივთი. სულ, 600 ნივთში, საათიანად, მხოლოდ 3 მ. და 90 კ. (მხოლოდ საათი ღირს ამ ფასად).

ვინც ერთიდან სამ წყებას მაინც დაიბარებს, გასაგზავნ ხარჯად იხდის 55 კ., ციმბირში კი—95 კაპ.

მისამართი: О-ву «Меркурiй», Лодзь, з. 45. თუ არ მოიწონებთ, ფულს უკანვე დაგიბრუნებთ. წერილები გთხოვთ დასწეროთ რუსულად. Метцль и К-о, 60493 (8.1494.6)

გამოცდილი

## მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, სამუფერმლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის სარისხზე. უცხლა კლასის ჩასაბარებს.** ლებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ადგილას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უმეტეს 15 წლისა, მიიღებენ სრულ **სარჩენადაც, პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებისდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—58)

## გამოვიდა და იყიდება

### თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| **არჩილ ჯორჯაძისა:** | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივება". . . . | ფ. 80 კ. |
| „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| **B ã t o n-ასა:** | „ერი და კაცობრიობა" . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| **ვ. ძიძიანისა:** | «სამეგრელოს მთავარი ლევან", ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| **ნ. შიუკაშვილისა:** | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

## მზარეულობის

## პრაქტიკული სკოლა

ე. ნ. მისტროვისა,

(გრიბოედოვის ქუჩა N 9, სამუსიკო სასწავლებლის პირდაპირ).

**სადილი 30 კ.—60 კ.-მდე.** საუზმე, პირაშკა და სხვა და სხვა საჭმელები მზადდება აგრეთვე შეკვეთით.

**სასწავლებელში** მიიღება მოწაფეები ყოველ დღე. (თ.—868.3)

15 ოქტომბრიდან დაიწყება ყოველდღიური

## ავტომობილებით მიმოსვლა

### ტფილისსა და სიღნაღს შუა

როგორც ტფილისიდან, ისე სიღნაღიდან ავტომობილი დილის 8 საათზე გავა. ბილეთები **სიღნაღში** სიფოსტო სადგურზე იყიდება. **ტფილისში**—„სევერნი ნომრებში", ჩუღურეთისა და ავლაბრის სადილიჯანო კანტორებში. ავტომობილები „სევერნი ნომრებიდან" გავა. **ბილეთის ფასი 5 მანეთია.** (10—1141—2)

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 3, ტელეფონი № 712.

## ✣ ახალ-ახალი ✣

**ოსეტრინა** (ზუთხი) **სევრიუგა** (ტარაღანა).

— და ორაგული —

ყოველ დღე ცხელი **ლოქო.**

◀ საუკეთესო პაიუსნი **ხიზილალა** გირვანქა 1 მ. 40 კ.

ახალი კეტოვი **ხიზილალა**

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების **სილიოდკები** სამეფო, დუნაისა, როგისა და ქერჩისა.

(წ—1053—)

## საკერავი მაშინა

### ზინგერის კომპანიისა

იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან




ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—36)

ალექსანდრე

## თაბაგარის

მაღაზიაში

### საკერავი და საქსოვი მაშინები,



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიად, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება უველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—45)

